# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


ქართული თეატრი

პარასკევს, 5 თებერვალს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან გამართული იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა

I

**ა ლ ლ უ მ ი**

კომედია—ხუმრობა 4 მოქ. გადმოკ. **ვალ. გუნიას** მიერ

მოქმედება სწარმოებს დაბა თიანეთში ჩვენ დროს

II

უკანასკნელი მოქმედება ერისთავის დრამიდგან

**სამშობლო**

III

**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი**

მონაწილეობას ღებულობენ ყველა ქალი და ვაჟი არტისტები, კ. დ. ყიფიანიც

ადგილების ფასი დაკლებულია

შეგირდებისთვის ადგილები ამფითეატრში ლოჟების უკან 55 კაპეიკად.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია


ტფილისი, 3 თებერვალი

ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროს მიერ დაარსებულ კომისიაში დიდი ლაპარაკია ჩამოვარდნილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი წესდება სახელმწიფო ბანკისა, რომ ეს დაწესებულება უფრო რიგიანად ემსახუროს, თავის დანიშნულებისამებრ, ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინების საქმეს. ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა ხშირად დიდს გაჭირვებაშია, იმიტომ რომ ვერსად უშოვნია კრედიტი საქმის წარმოებისათვის. სახელმწიფო ბანკს შეუძლიან გაუძლვეს ამ დიდს საჭიროებას, მაგრამ საქმე ისე იყო მოწყობილი დღემდე, რომ მხოლოდ მცირეოდნად ეხმარებოდა ეს ბანკი ზემოხსენებულს საჭიროებას.

ყველამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავნს თანხას ეხლანდელ საეკონომიო ცხოვრებაში. არა წარმოება, არა მრეწველობა ანუ ვაჭრობა არ მოხერხდება ვერც სოფლად და ვერც ქალაქ ადგილას, თუ საქმის მწარმოებელს ხელში არ უჭირავს თავნი (капиталъ), ძირის ფული, ანუ თანხა. ვისაც უნდა ვაჭრობა დაიწყოს, ამ თანხით საქონელი უნდა იყიდოს, საჭირო კაცები დაიჭიროს, სახლი იშოვოს ქირით და შეიძინოს ყოველ გვარი საჭირო ნივთი და ვეჯი საქმის საწარმოებლად. მეურნეს თავნი უნდა მამულის სასყიდლად, გუთნისა, ხარკამეჩისა, თესლისა და სხვა ამ გვარ უძრავ-მოძრავის შესაძენად. თუ ყოველივე ეს არ შეიძინა კაცმა, ვერაფერ საქმის წარმოებასაც ვერ მოახერხებს. მეურნეს გაუჭირდება ხვნა-თესვა, ვაჭარს—აღებ-მიცემა, და ასე ამ გვარად.

ამიტომ ცხადია, რომ ყოველი მწარმოებელი და აღებ-მიცემის კაცი, ვისაც-კი ხელში საქმე უჭირავს და ამ საქმის წყალობით ირჩენს თავის თავსაცა და უძლვება სახელმწიფო და საზოგადო გადასახადებსაც, უეჭველია, მალ-მალ დაისაჭიროებს ხელის მოსანაცვლებლად ნაღდს ფულს, რომელსაც ჩვეულებრივ სესხით შოულობს. ნასესხ ფულს ყოველთვის სარგებელი აქვს და ეს სარგებელი რაც უფრო დიდია, მით მოვალესათვის ძნელია მისი გადახდაც. მაგრამ, როცა ქვეყანას ცოტა აქვს კარგად მოწყობილი საკრედიტო დაწესებულებანი, გაჭირვებული კაცი იძულებულია მიჰმართოს სხვა-და-სხვა კერძო მოვასხეს, ათასს ქვეყნის მევალეფავსა და მგლეჯავს და მისგან ივალოს თუმანი ექვს შაურად, ათ შაურად და ხანდისხან მანეთადაც თთვეში, ესე იგი, იხადოს 36, 60 და 120%!.. სახელმწიფო ბანკში-კი კრედიტს 5%-ად აძლევენ. ხომ ასე იაფად იშოვება სახელმწიფო ბანკში სესხად ფული, მაგრამ წარმოიდგინეთ-კი, რომ ისეა იქ მოწყობილი დღეს საქმე, რომ მწარმოებელს დიდად ეძნელება ასეთ მდიდარ დაწესებულებისაგან ხელი გაიმართოს.

მაგრამ დავანებოთ ჯერ თავი სახელმწიფო ბანკსა და ვიკითხოთ ის, თუ საიდამ ჩნდება უმთავრესი წყარო კრედიტისა, და სად იკრებს თავს მრავლად ფული ათას გაჭირვებულ მწარმოებლის და ვაჭრის ხელ-გასამართად. საკითხი ის არის: საიდამ შეუძლიან იშოვოს ფული თვით სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებამ გასასესხებლად და საზოგადოდ კრედიტის რიგიანად მოსაწყობად? ეს წყარო არც სახელმწიფო ხაზინაა, არც სახელმწიფო ბანკი. ფულის თავ-მოყრისა და მოკრების წყარო იმავე საზოგადოებაში უნდა მოინახოს, სადაც აგრე უჭირთ ფული. ფულის გაცემას ახერხებენ მხოლოდ ფულის პატრონები, ფულიანი კაცნი, რომელნიც ყოველ საზოგადოებაში არიან. ფულის პატრონი ეძებს სანდო ბინას, სანდო კაცსა ანუ დაწესებულებას, რომ იმას ჩააბაროს სასარგებლოდ თავისი მონაგარი. თუ ამისთანა დაწესებულება არსად მოიპოვება ახლო-მახლო, როგორც ვსთქვათ, ჩვენს სოფლებშია, მაშინ ფულის პატრონს ან ზანდუკში აქვს ჩაკეტილი უსარგებლოდ ფული, ანუ, თუ ენდო კერძო კაცს და ასესხა, დიდის „რისკისა“ და სხვა მიზეზების გამო დიდ სარგებელსაც გამოართმევს, როგორც ზევით მოგახსენეთ, და ბევრჯერ სარგებელსაც არა სჯერდება და გირაოსაც ითხოვს თავნისა და სარგებლის უზრუნველსაყოფელად.

აი აქ არის დიდი მნიშვნელობა ბანკისა. ბანკი იმ გვარი სანდო დაწესებულებაა, რომელიც იზიდავს ფულს ყოველ ფულიან კაცთაგან და ამ ფულს სარგებლით აძლევს იმათ, ვისაც უჭირს. ბანკი შუამდგომელია, შუაკაცია ფულის პატრონთა და უფულობით გაჭირვებულთა შორის. რადგანაც ბევრი ფულიანი კაცი თავის თავს ისე არ უყურებს, რომ სხვის საყვლეფ-საგლეჯად მოიხმაროს, ხოლო უნდა სანდო ადგილას დააბინაოს, ამიტომ შეაქვს ბანკში თავისი ფული შესანახად და იღებს მცირედს, კანონიერს სარგებელს. აი სწორედ ამ გაბარებულს ფულს ასარგებლებენ ბანკის გამგენი და ამ სარგებლით ფულის პატრონსაც ასიამოვნებენ, უფულობით გაჭირებულსაც ხელს უმართავენ და თავიანთ გასამრჯელოსაც იღებენ. თუ, მაგალითად, ბანკი ანაბარ ფულში 5%-ს აძლევს, თითონ 7% ასარგებლებს და დანარჩენ $1\frac{1}{2}$—2% ხმარობს ზოგს ხარჯის დასაფარავად და ზოგს თავის მოგებად ითვლის. რამდენადაც მრავალია ამ გვარი ბანკები, იმდენად ადვილია საჩქაროდ და იაფად ფულის შოვნა, იმდენად კრედიტი იაფია, როგორც იტყვიან ხოლმე ფინანსისტები; იაფის კრედიტის წყალობით ვაჭრობა, მრეწველობა და ყოველივე წარმოება დიდს წარმატებაში შედის, ხოლო ქალაქისა და სოფლის ყოველგვარ მევალეფავ მოვასხე ვაჟბატონებს ხელ-ფეხი ეკვრებათ.

შემდეგს წერილში მოვიხსენებთ, თუ როგორ ასრულებს ამ გვარ თავის დანიშნულებას ძლიერი და უმთავრესი წყარო კრედიტისა—რუსეთის სახელმწიფო ბანკი.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 1 თებერვალს, კრება იყო ქალაქის საბჭოსი. კრებამ მთელი საღამო კვლავ მოანდომა განხილვას სამკურნალო წესდებისას. კვლავ განიხილა მხოლოდ ექვსი მუხლი წესდებისა. კვლავ გაცხარებული ბაასი გამოიწვია თითქმის ყოველმა სიტყვამ კომისიის მიერ შემუშავებულ წესდებისამ. ბოლოს მაინც საბჭომ დაადგინა: მოწვეულ იქმნას

## ფელეტონი

**რამე-რუმე მთისა**

თერგი და მყინვარი.—ზამთარი.—ჩემი მეზობელი თორღვა.—დიდი თამარი, სულღუმი და ცისკარი. ჩემი სალაშქრო სიმღერები.—კიდე თორღვა, მე და სოსიკა.—ცოტა რამ ჩვენის ხატ-ჯვარის მითოლოგიისა.—მე და თორღვას დაგვეხსენით.—რა მოსდევს ჩვენს შეწუხებას? როგორ უყურებს თორღვა სკოლას?—იმისი სამდურავი.—მე და თორღვას კაი კაცობა.—ჩვენს წინაპრებს რო ქაჯი ჰყოლია? კიდე რა გვაბრაზებს მე და თორღვას.—ჩვენი ნატვრა.—ვინა ჰყავს შემწე ბარისახოს სკოლას?

(შემდეგი *)

სხვასთან რომ ვმედიდურობთ, ერთმანეთში ძალიან მშვიდობიანადა ვცხოვრობთ მე და ჩემი მეზობელი. ისიც ვის კაი კაცობით? რასაკვირველია,—იმისა, რადგან მე სიტყვაში ჩამოსული ვყევარ: თუნდა სრულ „ნაგაბრად“ გაილოს ჩემი მკვდარი და ცოცხალი, მე ალერსიანად „ბალი-ალას“ ვეუბნები. მაგრამ სწორედ ერთი ხასიათები-კი გვაქვს მე და იმას: ლამის მეც გავთოვრლვავდე და ისიც გამწარიავდეს, რადგანაც მე მწარია მქვიან. მაშ, დაიცა, ასე არ იქნება? აკი „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, თქვენ რ იცით ბარელებმა? ასე, ჩემო ბაატონო, ჩვენ სწორედ „შავნი შაშვნი“ ვართ, შავსა კლდესა შინა მსხდომარენი... ნუ დაგავიწყდებათ, წელან არ მოგახსენეთ, რომ ჩვენ ჩვენი ჰქვის ხალხი ვართ, ღმერთიც არ მოგვწონს, თუ მხოლოდ „ღმერთია“. აი ჩვენი სარწმუნოება: ღმერთია, ხატია, „ჯვარია“, თუ სხვა ვინმე ბრძანდება, თუ ჩვენებური „ტალავარი“, არ აცვია, ჩვენებურად შაზიკულ ძუა გამონასკულ ცხენს არ ზის, და კოხტად ხმალ-დელამფრით გამოკანკლული არ არის, ის ბატონებო, ჩვენი არ იქნება... იტყვიან, თუ ეს სვეტი-ცხოვლიო, ეს ალავერდი და თეთრი გიორგიო, ეს სიონი და იმათ მოხატე ნაზარეველიო, მაგრამ ჩვენ იმათი არა გვმართებს-რა. აი ვენაცვალეთ ჩვენს ხახმატის ჯვარს—ასკაისძეს და იმის თანამეტახტეებს: გუდანის ჯვარს—ბურბაადურს, კარატის ჯვარს—კოპალას, ბაცალიგოს ჯვარს, ცეცხლის ანგელოზს პირქუშს, ფშაველთ სალოცავს იახსარს, წმინდა გიორგის, ლაშარელა-ლაშარის ჯვარს, იმათ განუყრელ ძმობას და ვაჟკაცობას. ისინი არა ჰგვანან სხვა-და-სხვა სალოცავებს, რომლებიც თქვენ გაგიგონიათ... ახლა ვინ რა იცის, იმ თქვენს კირით თეთრად ამოლესილ ტაძარ-საყდრებში ზისა-კი ვინმე ლოცვა-მსახურობის ღირსი? ჩვენ სრულ ეჭვი გვაქვს, რომ იქ ქრისტიანი სული ვინმე ბუდობდეს. მაგრამ ჩვენის სალოცავის, ხატ-ჯვარების საქმე სრულ სხვაა: ისინი მარტო უჩინში-კი არა სხედან და მსხდარან, არამედ მზე-ქვეყანაზედაც უვლიათ და კვლავაც დიიან. იმათ წინა-მძღვრობით ბევრჯელ ულაშქრნია ჩვენს მამა-პაპას; ზევრჯელ გასულა თარეში და მდევარი და უსახელებია თავი; იმათ გაპრიალებულ ხმლის ბელადობით ბევრი მტრებისთვის აგვიდენია მტვერი და დაგვიდვია ბეგარა. იმათ, სხვასაიქით, ქაჯეთიც აუკლიათ და დაუმორჩილებიათ. რა მაშინ და მერე,—როცა დღესაც ბევრი ხდება ღირსი სიზმრით და საცხად იმათი ნახვისა: ჰნახენ, რომ ისინი ჯაჭვ-ჩაჩქნიანები, შურთხებივით ყელ-მოღერებულები, ნაურვალის „ხვადებით“ ნიავ-ქარივით უვლიან გარს თავის საყმოთ! თქვენი სალოცავიბისა ვის რა უთქვამს, მაგრამ ჩვენების გმირობა ყველა ძუძუმწოვარა ღლაპსაც უნდა ჰქონდეს გაგონილი ჩვენს ქვეყანაში. გესმით? არ გეჯერებათ? აბა მაშ, ჩვენს სამტყუილოდ, სოსიკა ჩაფარი რო გდია „ბარის ყვითელა“—იმასა ჰკითხეთ, რას იტყვის. თორემ რა სოსიკა? ვინ სოსიკა? ჩვენი აუგის და სახელის დამალვა არც მე და თორღვას მოგვიდის: უმეტნაკლებოდ ჩვენც ვიცით „უბნობაი“. ამიტომ ყური დაგვიგდეთ, რა გიამბოთ: კაცო, მე და თორღვა ერთხელ „ფიხონში“ ვართ და ერთურთის მემჯობიას ჩვენი სალოცავების „ნაპიროფლევზედ“ ვესორბოითლებით ჩვენებურებს. ვნახოთ, აკი ამ დროს სეფედავლიანთ სოსიკა იქ არ მოხისფეხებულა, და უცებ არ წამოჰტყვრა და არ მოახალა ჩემ მეზობელს ქისტურ დამბაჩასავით: „ეჰ, რაც ბიჭი შენა ხარ, დათუნი, ის შენი „ხახმატ-გუდანას“ სალოცავებია: ემანგრე რო ჰბერან, ხომ გაგისქდნენო“.

ჩემ მეზობელს, შევატყე, ბალანი აეშალა და უსათუოდ შუღლის გულს დადგა, მაგრამ მე შევაყენე, ვუთხარ: „ჩხუბით და ყალმაყალით-კი არა, დალაგებული სიტყვა-კაზმულით დავუმტკიცოთ ჩვენი ნათქვამი მეთქი; და ვიდრე ჩემი მეზობელი გულს დაიმშვიდებდა, მე თვითონა ვკითხე: „ე, ბაჯბაჯა ქართველო, საიდამ იცი, რომ ჩვენი „ჯვრები“ გულადნი, პურადნი, შემბედავნი და მრეთამრენი არ არიანო?“

სოსიკამ ერთი სხვანაირად გადმოამხედა და თავის ლუთლუთა ენით არხეინად მითხრა: „იქიდამ, „კოპალეს“

*) იხ. «ივერია», № 23.

95-43

შვიდი ექიმი, რომელთაც უნდა მუქთად უწამლონ ქალაქის ღარიბ ხალხს. ტფილისი უნდა გაიყოს ექვს ნაწილად, თითო ნაწილი თითო ასეთის ექიმის ხელში უნდა იყოს, ხოლო მეშვიდე სათადარიგოდ ეყოლება უფროსს ზედამხედველს. ყველა ეს ექიმები, გარდა მუქთის წამლობისა, მოვალენი არიან მოუარონ თავ-თავიანთ ნაწილს, ყური უგდონ მისის მოედნების, ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს და სხვანი. კრებამ თერთმეტ საათამდე გასტანა.

*** ორშაბათს, 1 თებერვალს, „ტფილისის საბრანიაში“ დანიშნული იყო ბალი ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. ბალის გამგებლად ბრძანდებოდა კნ. ე. ანდრონიკაშვილისა. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

*** სამშაბათს, 2 თებერვალს, ტფილისის „სამუსიკო კრუჟოკში“ დანიშნული იყო სამუსიკო და სათეატრო საღამო, ქართულ სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს „დათვი“, ვოდევილი 1 მოქმედებად; სიმღერა სთქვეს: სტრახოვის ქალმა და გ. მაჩაბელმა. ამას გარდა ბ-ნმა ვ. აბაშიძემ და გედევანიშვილმა იმღერეს საოხუნჯო კუპლეტები. ორივენი ძველებურ მოქალაქეებად იყვნენ ჩაცმულნი, ერთმანერთს შესჩიოდნენ, უცნაური დრო დადგაო და ვაითა და ვიშით უსამძიმრებდენ დროთა და ჟამთა ცვლილებას. საზოგადოება სიცილით დაიხოცა ამ კუპლეტების თქმის დროს. ანტრაქტებში და საღამოს გათავებისას მხიარული ევროპიული ცეკვა და ლეკური თამაშობა იყო. ხალხი ბლომად დაესწრო და საკმაოდ ისიამოვნა. საღამომ გასტანა ნაშუაღამევის 2 საათამდე. შემოსავალი 500 მან. იქმნებოდა.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ ახალი ქართული წიგნი: ლექსები ბ-ნ სილოვანისა. ამ წიგნში თავმოყრილია ერთად ყველა ის ლექსები, რომელიც დაუწერია ავტორს 1878 წლიდამ 1891 წლამდე. წიგნი შეიცავს 92 გვერდს და ჰღირს 50 კაპ.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „თამარ-მეფე“, დაწერილი ბ-ნ დ. კარიჭაშვილის მიერ. როგორც ერთის თვალის გადავლებით ეტყობა წიგნს, ავტორს დაკვირვებით შეუსწავლია ყოველივე უმთავრესი საისტორიო მასალა ჩვენის დიდებულის მეფის შესახებ და საკმაოდ მდაბიოდ და სუბუქის ქართულით მოგვითხრობს მის მეფობის ყოველს უმთავრეს ამბავსა და გარემოებას. წიგნი 55 გვერდია და ჰღირს 15 კაპ.

*** კავკასიის სამკურნალო უწყების მმართველობა აცხადებს, რომ კერძო მკურნალთა, ფერშალთა და ბებია-ქალთა, რომელთაც-კი სურთ მიიღონ წელს მონაწილეობა ხოლერასთან ბრძოლაში, 1 მარტამდე უნდა გამოგვიგზავნონ ამის შესახებ ცნობაო. (ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი ისარლოვისა); მკურნალთა და ფერშალთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ახლავე ხოლერის წინაამდეგ სასანიტარო და სადეზინფექციო ღონისძიებათა განხილვა-გამოკვლევაში, რომელსაც შესდგომია უკვე კავკასიის სამკურნალო საზოგადოება. ხოლო ბებია-ქალთათვის, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ ხოლერასთან მებრძოლთა რაზმში ჩაწერისას, მიხეილის სამკურნალოს დარბაზში ლექციები იქმნება წაკითხული ხოლერის შესახებ. ყველა მოხელენი ხოლერასთან მებრძოლ რაზმებისა დაჯილდოებულ იქმნებიან 1876 გამოცემულის კანონდებულების მე-III ტომის 637 მუხლის თანხმად.

*** ფოთი: 2 თებერვალს, ღამის 3 საათზე, მატარებელმა გასრისა მეისრე სენაკის მაზრის მცხოვრები გიორგი კაჭარავა.

*** თელავი: 30 იანვარს დანიშნული იყო ქართული წარმოდგენა. ღლით რეპეტიციის დროს დაიქუხა შენობის საყვავემ და კინაღამ უბედურობა არ დატრიალდა. მაგრამ უბედურობა მაშინ დატრიალდებოდა, რომ წარმოდგენის დროს მომხდარიყო ეს ამბავი. არტისტები მომზადებულნი, სოფლიდამ ჩამოსულნი, რომელთაც ყოველივე ხარჯი უკვე გაწეული ჰქონდათ, დარჩნენ ხელ-ცარიელნი. ჩვენის აზრით, ამისთანა შემთხვევაში დიდი სიფრთხილე ჰმართებს პოლიციას. შენობის პატრონი მოვალეა არტისტებს ხარჯი უზღოს.

*** ზარის ოსეთი: საკვირველი დიდი თოვლია წელს ზარის ოსეთში. მოხუცი ოსები ამბობენ, ამოდენა თოვლს არ მოვსწრებივართო; ასეთი თოვლი ნამდვილი ღვთის წყალობა არის და ნიშანია კარგის მოსავლისაო.

სოფ. სანებას და ყაყადურს ამ ორიოდე დღეში იჩინა თავი საქონლის ჭირმა.

*** ქუთაისი: 30 იანვარს ქუთაისში გაჰმართეს კონცერტი ქ-ბმა ალმაზოვისამ და ძნელაძისამ. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და დიდად ისიამოვნა. ქალ. ძნელაძისას, ცოტა არ იყოს, შესუსტებია ავადმყოფობის გამო ხმა, მაგრამ ისევე მშვენიერად და მელოდიურად იმღერა, როგორც წინად. ალმაზოვის ქალი პირველად არის ჩვენს ქალაქში. ამ ქალს ძლიერი სოპრანო ჰქონია და კარგადაც შემუშავებული, მაგრამ იმდენად მიმზიდველი და სასიამოვნო-კი არა, როგორც ძნელაძისას.

*** იქიდამვე: 2 თებერვალს იყო ქ-ნის ეფ. მესხის ბენეფისი. ამ ბენეფისისათვის პირველად იყო ქართულად წარმოდგენილი შესანიშნავი დრამა დიუმასი „მარგარიტა გოტიე“ (la dame au camelias)- საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა ამ წარმოდგენას და დიდი იმედი ჰქონდა, რომ ნამდვილ კმაყოფილებას იგრძნობდა.

*** ს. ქარელი (გორის მაზრა): 1 თებერვალს, შუაღამისას, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ სკრისა და ქარელის სადგურებ-შუა რკინის ლიანდაგზე დაუწყვიათ „შპალები“; ამ დროს მუშა მატარებელი № 48 მოდიოდა და ზედ გადაიარა, „შპალები“ გადასჭრა და, ცოტას გაწყდა, მატარებელი მთლად არ დაიმსხვრა. ამ შემთხვევის გამო ზემო ხსენებული მატარებელი ნახევარ საათამდე გზაზე იდგა.

*** 3 თებერვალს დიმიტრი პეტრეს ძე ბურკოვსკიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ავჭალის ქუჩაზე სამზარეულოდგან 350 მან. ღირებული ტანისამოსი და სხვა წვრილმანი ნივთეულობა მომპარესო.

*** 1 ამ თთვისას გოლოვინის პროსპექტზე „ევროპაის“ სასტუმროში 18 წლის ვიღაც ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძემ თავის მოკვლა განიზრახა და რევოლვერი დაიცა მუძუში. ამ კაცს ხუთი ბარათი უპოვნეს, სხვა-და-სხვა კაცის სახელობაზე დაწერილი. ერთს წერილში გამომძიებელს სწერდა, რომ ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთო. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს საექიმოდ.

*** ამავე დღეს ოლგას ქუჩაზე ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ ახალციხის მაზრის საპოლიციო ბოქაულები, ურაველისა — პორუჩიკი თავადი თუმანიშვილი და აწყურისა — კოლლეჟსკი ასესორი გამრეკელი ერთი მეორის ადგილას.

## წლიური კრება

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა 31 იანარს.

წლიურს კრებას დაესწრო 30 წევრი. კრება დაიწყო 12 საათზედ თ. ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. თავდაპირველად კრებამ მოხსენდა გარდაცვალება საანგარიშო წლის განმავლობაში საპატიო წევრის თ. გრიგოლ ლევანის ძის გურიელისა და დამფუძნებელ წევრთა: თ. ლევან ივანეს ძის მელიქიშვილისა, თ. ისე ადამის ძის ანდრონიკაშვილისა და გენერალ-მაიორის სპირიდონ მაჰავარიანისა. კრება ამ მიცვალებულთა პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამოდგა. შემდეგ გამგეობის მდივანმა წაიკითხა პროტოკოლი წარსულის საზოგადო კრებისა. თავმჯდომარემ ჰკითხა კრებას, ინებებთ, თუ არა, ანგარიში წავიკითხოთო. რადგან ყველა დამსწრე წევრს ანგარიში წაკითხული ჰქონდა წინდაწინვე, კრებამ საჭიროდ არ იცნო წაკითხულიყო და პირდაპირ შეუდგა ანგარიშის შესახებ მსჯელობას. ბ-ნმა ჰ. უმიკაშვილმა წარმოსთქვა, რომ საზოგადოების დაარსების აქედ წლიური ანგარიში სულ ერთ ყაიდაზე იწერება და წარმოედგინება ხოლმე კრებასაო. კრებას არა აქვს შეძლება შეამოწმოს ანგარიშის სიმართლე და მხოლოდ საზოგადო შენიშვნების წარმოთქმა თუ შეუძლიანო. ამიტომ საჭიროა, სარევიზიო კომისია ირჩეოდეს და მას მიენდობოდეს ხოლმე გამგეობის მოქმედების შემოწმება. კერძოდ უმიკაშვილმა შენიშნა შემდეგი: გამგეობას არ უნდა მიეღო „ივერიის“ რედაქციისაგან საგანგებო შემოწირულობანი მწერლების სახელობაზე, რადგან მათი მოხმარება საძნელოა და არც საზოგადოების საქმეაო. ყაზბეგისა და ბარათაშვილის ფონდი მაინცა და მაინც სრულებით არ იყო მისაღები, რადგან მათი დანიშნულებაა ერთს შეწევნა მისცემ ავადმყოფობაში, მეორეს—ძეგლი აუგოსო. ეს რედაქციას უფრო შეშვენის, ვიდრე საზოგადოებასაო. ამიტომ ითხოვა, რომ ეს თანხები მოიშოროს თავიდგან საზოგადოებამაო. შემდეგ სთქვა, რომ საჭიროა კავკავის სკოლის მზრუნველობის წევრთა სახელები იყოს მოხსენებული ანგარიშშიო. აგრედვე უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხლთ-

---

ყმაოვო, რომ, ჰხედამ ერთი ტკაველი კაცი არა ვარ, მაგრამ ასიათასი კატა თავის დედა-ბუდიანად რომ დამხვიოთ და თქვენაც თავის ფარებიანად იმათ დაეტანოთ, აი ემ მუჰტით, სოსიკა არ მოკვდება, ანგე აიმ მთას იქით გადაგრეკამთ, და ერთი მკვდარი კატა-კი თქვენს ხატ-სალოცავებს თავის ხევის-ბერ დასტურიანად თუნდა ხევსურეთიდამ სულ გადაასახლებს ერთი დაღნავლებით, ისე ეშინიანთ იმისაო“.

ეს რომ მითხრა, გაჩუმდა. მე ღვთისა წინაშე, მეწყინა, მაგრამ წარა-მარას გადამცემი არ მომწონს, არც ავაყოლებ ჭკვასა. თორღვა ხომ უფრო მძიმე კაცია. ჩვენ მუდამ ჭკვიანური საუბარი გვიყვარს, ნიადამ სილოლოგიზმებით შემტკიცებული... თუმცა მე არა ვსთქვი-რა, მაგრამ ძალიან-კი შემიკეთა იმ ბაიყუშ „ბარისას“ სიტყვებმა; თორღვაც ხომ სრულ გააცეცხლნავთა,—მაგრამ ისევ მე დაუშალე და ვუთხარ: „აბა, რაც იცი, ნულარა ჰმალავ, დააყარე, მეთქი“. მაშინ თორღვამაც გადაუშალა თავის უქმურის წიგნი და ისეთ-ისეთი წაუკითხა ჩემ ტრაბახა „კახას“, რომ სრულ კბილები გამოაკრეჭინა. ჩინებულის მოხერხებით უამბო ქაჯ-დევების ქვეყანას ჩვენის ხატ-ჯვრების გალაშქრების ამბავი. სოსიკამ ნათლად დაინახა, რომ კუდიანებმაც მიჰმართეს იმ ხერხს, რომელზედაც იმან ილაყბა, მაგრამ ვერაფერი წაიღეს. როცა ჩვენმა ბატონებმა ქაჯეთი აიკლეს და დავლა-ალაფიანნი შინათკე გამობრუნდნენ „დევ-ქაჯთაც“ ბევრი მოესროლეს იმათ „ციცეების“, ძაღლების და სხვა „უსურმაგის“ ნაჭერ-ნაკუწები, მაგრამ გმირმა ბერბაადურმა—გუდანის ჯვარმა დელამფარი უფარა, ვაჟმა ასკაისძემ—ხახმატის ჯვარმა—კაბის კალთები და ტანზედ არც ერთი არ მიუკარებიათ. ბორბლის მთასთან, ერთ ვიწრო გამოსავალში ქაჯებმა იმათ ცხენის დოლოჩაც აუყუდეს, მაგრამ ბიჭნი იმაშიაც შიგ გამოძვრნენ და ნასახელარ-გამარჯვებულნი „იქავ ხევსურეთს“ მოიქცნენ, ხახმატს შეიყარნენ; აქედამ ყოველივე ქაჯეთიდამ წამოღებულ წამოსხმული ღმერთს გაუგზავნეს; თავად მხოლოდ ერთი საუკეთესო ფური დაიჭირეს, რომელიც სალმერთოდ დაკლეს, სისხლით „გაინათლნენ“ და ისევ ის „ვაჟნი“ გახდნენ. იმ ფურის რქა, რომელშიაც ერთი კოდი პური ჩადის, ეხლაც ხახმატის ჯვრის მონაშენობაშია შენახული, მაგრამ „თქვენ ფერეებს-კი იმას არ ვაჩვენებთო“, დაუმატა თორღვამ.

თქვენ თვითონაც კარგად იფიქრებთ, მკითხველო, რა ნაირადაც შეარცხვენდა ამ ნაირი პასუხი სოსიკას. ჩვენი ბატონები ქაჯებსაც გადაურჩნენ, კატებსაც, ნადავლი „იმდენი ერთი“ ღმერთს გაუგზავნეს და ბიჭები არა ყოფილან? მე და თორღვას მაშ მართალი არ გვითქვამს?

ეჰ, ბარელებო, თქვენ მაინც კაი ხალხი არა ხართ. თქვენი საყდრები და სალოცავები ჯერ თქვენს მღვდელ-მონოზნებსაც ალარა ჰწამსთ, არამც თუ თქვენ სადმე გაგაჩნდესთ. მერე წამოხვალთ და, ვინც არა მგონია ჩვენ გვიქადაგებთ: „მოიქცენით, მოქრისტიანდითო“. მაგრამ ღმერთი ყველასა გვხედავს. ამიტომაც „ხორიელაა“, შავი ჭირია, ხუნაგია, მუცელაა, ციებ-ცხელებაა, თუ სხვა რამეა, უწინ თქვენ შემოგიკვლევსთ და მუსრს გადენთ. ჩვენა?

ჩვენ ყველაც შილავათით გვეპყრობა. ან რას გვერჩიან? რაც შეგვიძლიან, ჩვენს ბეჩავს სამსახურს არ ვაკლებთ არც ღმერთსა, არც ჯვართა: დღე-მუდამ იმათ ვლოცულობთ, იმათ შავძახით, მუხლს ვუყრით, ვახვეწებთ იმათ დავლათს ჩვენს თავს და ცხოვრებას... რამდენჯერ გაგვითავებია მე და ჩემს მეზობელს ცხვარ-ძროხა იმათ ხვეწნაში!.. ჩვენ იმითი ვართ ბედნიერნი, რომ ჩვენს ბატონებს ალოოში ჩამდგრები ვყევივართ... როცა ჩვენგანი ვინმე ავადა ხდება, „დოხტურს“ და ფერშალთან არ გავრბივართ თქვენსავით, რომლებიც თქვენ ტყუილად გფცქვნიანთ და გატყავებენთ: ჩვენ ვიცით, რომ რომელსამე „ღვთის შვილს“ ან სამსახური რამ დავაკლეთ, ან გულს რაზედმე მოგვავალებს. მკითხავ-ქადაგიც იმიტომ გვინდა, რომ ამ დღეს გამოგვადგეს... მივალთ და ხელდახელ „ამოგვიხსნის“, ვინ რას გვედავება, და ჩვენც სამსახურისად მზადა, ვართ: ცხვრით, ძროხით, „თეთრით“ და სანთლით; სიდიდ-ბევრით როდი შევწუხდებით... „ღმერთსამც ნუ ვაწყენთ“ და ძალიან დიდ-დიდი მუცლები-კი აქვსთ რადმე იმ დალოცვილებს... თორემ ღმერთმა ალალი უყვასთ: მაინც ყველა ხატ-ჯვარნი ძალიან დამხიდავებია ჩვენი. ვსთქვათ, ჩემი მბრძანებელი „ჯვარი“ მე შემომწყრა და ზიანს რასმე მიპირობს; მაშინ მყოფე „ჯვარი“ შუაკაცად შემოდის: მე მსახურებია, ჩემთვის მოურთმევია მომეტებული საკლავი, გულიმოიბრუნე, ნუ დაჰლუპავო“. ისაც უხათრებს—კარგია, არა და—წასულია ჩვენი საქმე. მაგრამ ამ ნაირი შემთხვევა ძალიან იშვიათია, რადგანაც იმათ უფრო ერთურთის ხათრი აქვსთ. „მოკვეთილი“ მხოლოდ „ჰადური ჯვარი“ ჰყავსთ ჯვართა: იმას არ იკარებენ ახლო, თვითონაც ერიდებიან. ახიც კია, მე და ჩემმა ღმერთმა!.. რასა ჰბრძანებთ? იცით რა უქნია იმ დალოცვილს?.. რა და ისა, რომ ხახმატის ჯვარისთვის ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია!.. ამას ჯერ ჩვენ არ „ვჩადით“ ჩვენს ქვეყანაში, რომ ჯვარს ეკადრებოდეს?—სხვაგან-კი „ქვეც რა უშავდა?“ ისაც სად უქნავ იმას „კანტალობა“... იქა, ჩემო კარგო, რო ხახმატის ჯვარი, როცა ქაჯეთით მომავალა თავის თანამოლაშქრე ხატებით, იმათ ლაშქარს წყალი მაჰწყურებია. ხახმატის ჯვარს კარატის ჯვრის კოპალასთვის „დაუძახებავ“: „მამეშველე, ჯარი წყურვილს მელევისო“. ისაც მაჰგებებია: ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყლაშნია, წყარო ამოუყვანია და მთელი მხედრობა დაუძღვია. „ჰადური ჯვარი“-კი „უდუმლივ“ მოსულა და ის კაი კაცობა გაუწევია, რაც წელან გიამბეთ: როს სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატებისათვის, რომლებიც იმათ ქაჯეთიდამ წამოღებულები ჰქონიათ...

(დასასრული ხვალ)

უბნის სკოლაში ბავშვები ხშირად არ დაიარებიანო. თუ ეს გარემოება არ შეიცვალა, შეიძლება სკოლის მოწინააღმდეგე სოფლელებმა ეს მოიმიზეზონ და სკოლის შენახვაზე უარი სთქვანო. ბ-ნი უმიკაშვილი უსაყვედურებს გამგეობას, რომ მოძრავს სკოლებს არა ჰმართავსო, თუმცა სხვა-და-სხვა სოფლებში სკოლების დასაარსებლად შემოწირულობა მოსდისო. ყველა ამ შენიშვნების გამო ბ-ნი უმიკაშვილი საჭიროდ სთვლიდა სარევიზიო კომისიის დანიშვნას.

ბ-ნი მიხ. მაჩაბელი არ ეთანხმება პ. უმიკაშვილს იმის შესახებ, რომ ვითომ საზოგადოების საქმე არ იყოს საგანგებო თანხების მიღება. ამის ნებას იძლევა თვით წესდება და საზოგადოებას უფრო შეეფერება ამისთანა თანხის შენახვა, ვიდრე რედაქციასაო. მხოლოდ საჭიროა, ანგარიშში იყოს მოხსენებული დაწვრილებით ყოველის თანხის დანიშნულებაო.

თავმჯდომარემ უპასუხა, რომ თვით შემომწირველნი გადაწყვეტილს დანიშნულებას არ აძლევენ ბაქრაძის ფონდსა. ხოლო ბარათაშვილისა, ყაზბეგისა და დავითაშვილის თანხის დანიშნულება-კი ცხადად გამოსთქვესო: ბარათაშვილის გვამი უნდა გადმოსვენებულ და დამარხულ იქმნასო, ყაზბეგს უნდა შემწეობა ეძლიოს და დავითაშვილს—ძეგლი დაედგასო. აგრედვე დანიშნულების გამოუცხადებლად მივიღეთ 25 მ. გურიელის თანხის დასაარსებლადაო.

მ. მაჩაბელმა სთქვა, რომ, რა-კი ცხადად არ არის გამოთქმული, რა დანიშნულება უნდა მიეცეს ბაქრაძის ფონდს, უნდა გამგეობამ ითავოს, მოიწვიოს საპატიო კაცნი და მათ შორის ისინი, ვისაც შემოწირულობა გამოუგზავნია, და მათთან ერთად გადაწყვეტილი დანიშნულება მისცესო.

ბ-ნმა ცხვედაძემ გაახსენა მიხ. მაჩაბელს, რომ შარშანვე მოხდა ასეთი კრება და მის გადაწყვეტილება მოხსენებული იყო შარშანდელს წლიურს ანგარიშშიო. თავმჯდომარემ უამბო კრებას, რომ ბაქრაძის თანხას მიეცა ის დანიშნულება, რომ მოხმარებულიყო მუზეუმის ასაშენებლადაო. გამგეობა შეუდგა ადგილის ძებნას ამ მუზეუმისთვის და სთხოვა კიდეც ადგილის დათმობა ერთს პატივცემულ კაცს, მაგრამ, რა-კი იმას შარშან ზაფხულს ვერ მოუხდა უცხოეთიდგან მოსვლა საქმის ადგილობრივ გადასაწყვეტად, მუზეუმის აშენების საქმე ჯერ შეჩერებულიაო.

ამით გათავდა ბაასი ანგარიშის შესახებ. თავმჯდომარემ ჰკითხა კრებას, ინებებდა, თუ არა, სარევიზიო კომისიის არჩევას. კრებამ 20 ხმით წინააღმდეგ 10-ისა ინდომა სარევიზიო კომისია. ამ კომისიის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: პავლე ყიფიანი, დავით დათეშიძე და ვასილ რცხილაძე.

შემდეგ წაკითხულ იქმნა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა $18^{92}/_{13}$ წლისათვის. შემოსავალი იყო გამოანგარიშებული 6660 მან. ამდენივე იყო ხარჯი. სავარაუდო აღრიცხვის შესახებ ბ-ნმა უმიკაშვილმა შეჰნიშნა, რომ, რადგან საკომისიო წიგნების ვაჭრობა შრომას ბევრს ითხოვს, ხოლო შემოსავალს იმოდენად სახარბიელოს არ იძლევა, არ ემჯობინება, რომ სრულებით მოისპოს და მხოლოდ საკუთარის წიგნების ვაჭრობა ვაწარმოვოთო? მდივანმა ამის შესახებ უპასუხა, რომ მართლაც საკომისიო წიგნების ვაჭრობა იმოდენა მოგებას არ იძლევა, რამოდენასაც შრომასა და ჯაფას თხოულობსო. ეს წიგნები თითო-ოროლა, სულ ბევრი-ბევრი, ათიოდე ცალობით იყიდება თთვეში, ხოლო ანგარიშის გაწევა, ჩაწერ-ამოწერა დავთრებში და სიებში ისეთივე უნდა, როგორც დიდის და გავრცელებულის ვაჭრობის დროს. მდივანმა ამას დასძინა ისიც, რომ ამ წიგნების ვაჭრობამ, საფიქრებელია, თანდათან უფრო იკლოს, რადგან ქართველთა წიგნების გამომცემლის ამხანაგობის მაღაზია უფრო დიდის წარმატებით აწარმოებს ამ საქმესაო. მდივანის აზრით, უკეთესი იქნება, რომ სრულებით მოსპოს საზოგადოებამ ამ წიგნების ვაჭრობა და მხოლოდ თავის საკუთარი წიგნები ჰყიდოს. საქმეთ-მწარმოებელს ამით დაეზოგება შრომა და დრო, რომელთაც, უეჭველია, საზოგადოების სხვა საქმეებს მოახმარებსო. ბ-ნი ცხვედაძე წინააღმდეგია ამ აზრისა და ასაბუთებს თავის აზრს მით, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მაღაზიაში საკომისიო წიგნები, რათა ხელი მოუწყოს მათ გავრცელებასაო. ამავე აზრისაა გ. იოსელიანი. მდივანი ამბობს, რომ, თუ კრება არ ინებებს საკომისიო წიგნების ყიდვას, ხუთი მანეთი მოუმატოს მაინც მსახურის თთვიურს ჯამაგირს (ერთს თუმანს), რომ ისეთის კაცის დაჭერა შეიძლებოდეს, რომელსაც შეეძლოს წიგნების დავთარში ჩაწერა, ანგარიში და საზოგადოდ რიგიანი წერა-კითხვა. მ. მაჩაბელი საჭიროდ სთვლის კაცის დაქირავებას, რომ წიგნები ატაროს გასაყიდად ტფილისში კარდაკარ და სოფლებშიაც. ამისთანა კაცის ჯამაგირად საკმარისად სთვლის ერთს თუმანს თთვეში. კრებამ თანაგრძნობით მიიღო ეს წინადადება და მიანდო გამგეობას მისი შესრულება. ვ. რცხილაძე ითხოვს, რომ მსახურის თვიურს ჯამაგირს მიემატოს ხუთი მანეთი, თუ მის მოწვევა შეამსუბუქებს შრომას საქმეთ-მწარმოებლისას და მის თანაშემწისას. თავმჯდომარემ სთხოვა კრებას მიეცა გამგეობისთვის ნება, რომ, თუ საჭიროდ დაინახავდა, დაექირავებინა კაცი წიგნების დასატარებლად და მიემატებინა მსახურის ჯამაგირისთვის ხუთი მანეთი. კრებამ მისცა გამგეობას ამის ნება.

რ. ჯაჯანაშვილმა ამის შემდეგ სთქვა, რომ კარგი იქნება ყოველს წელს წმინდა მოგების გადაწყვეტილი % გადაიდებოდეს ხელუხლებელის თანხისთვისაო. ნ. ცხვედაძემ უპასუხა, რომ ეგ გადაწყვეტილება არსებობსო და კიდეც სრულდებაო. გრ. ყიფშიძემ იკითხა რატომ სავარაუდო ხარჯში არ არის მოხსენებული წიგნების საბეჭდავად გადადებული ფულიო. ამაზე გამგეობამ უპასუხა, რომ საჭირო არ არის მაგ ფულის ხარჯში შეტანა, რადგან ეგ ფული დახარჯული-კი არ არის, არამედ სხვა გვარს კაპიტალად—წიგნებად—გადაქცეულიაო. მ. მაჩაბელი მაინც საჭიროდ ჰპოებს, რომ მოხსენებული იყოს ის ჯამი, რომელსაც გამგეობა აპირებს წიგნებად გადაქციოს.

შემდეგ პ. უმიკაშვილმა ილაპარაკა, რომ, თანახმად წესდებისა, საჭიროა ინსტრუქციები იყოს გამგეობის სხვა-და-სხვა გვარის მოქმედებისაო, მაგ., საქმეთ-წარმოებისაო, წიგნების ბეჭდვისა, სკოლების გამართვისა, სკოლათა მასწავლებლებისა და გამგეობის ურთიერთობისაო. ესეთი ინსტრუქციები უნდა გამგეობამ შეადგინოს და წარუდგინოს კრებას დასამტკიცებლადაო. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ინსტრუქციები, რა საქმის შესახებაც შესაძლებელია იყოს, არის კიდეც შედგენილი და დამტკიცებულიცაა კრებისაგანაო. ხოლო არის ზოგიერთი ისეთი კერძოობა გამგეობის მოქმედებისა, რომლის შესახებ ინსტრუქციის დაწერა შეუძლებელია, რადგან თვით მოქმედება იცვლებაო. პ. უმიკაშვილი ითხოვს, რომ ყველაფრის შესახებ იყოს ინსტრუქცია, ხოლო მიეცეს უფლება გამგეობას, რომ შესცვალოს ეს ინსტრუქცია, როცა გარემოება მოითხოვს. ამაზე უმიკაშვილს უპასუხეს, რომ, თუ ინსტრუქცია მუდამ შესაცვლელი იქმნება, ის რაღა ინსტრუქციააო. ბ-ნმა ალ. ჭიჭინაძემ სთქვა, რომ ვიდრე ინსტრუქციას შევადგენდეთ, საჭიროა ვიზრუნოთ, რომ სკოლები გავამრავლოთო. ამისათვის საჭიროა ყოველმა წევრმა გაუწიოს დახმარება გამგეობასაო. ბ-ნ ვახტანგ თულაშვილის აზრით, საჭიროა მაგ საგნისთვის ცალკე იქმნას კრება მოწვეული. კრებამ დაავალა გამგეობას ინსტრუქციების შედგენა იმ გვარის მოქმედებისა, რომლის შესახებ შესაძლებელია არსებობდეს ინსტრუქცია. ხოლო რის შესახებაც არ შეიძლება ინსტრუქციის შედგენა, იმაზე მოხსენდეს კრებას დასაბუთებული პასუხი.

ბოლოს თავმჯდომარემ წაიკითხა სია საზოგადოების წევრობის მსურველთა და ჰკითხა კრებას, ინებებდა, თუ არა მათ არჩევას. კრებამ ისინი ერთხმად აირჩია წევრებად. აი სია ამ ახლად არჩეულის წევრებისა: 1, ჯავრიშვილი პ. გ., 2, ისარლოვი მ. პ., 3, კაპანაძე ი. ლ., 4, სიხარულიძე შ. გ., 5, თოიძე ალ. დ., 6, მამინაიშვილი ი. გ., 7, ბაუერი მ. გ., 8, კოჭლაძე მ. დ., 9, მუსხელიშვილი ი. დ., 10, ძიმისტარაშვილი სტ. შიოს ძე., 11, ლორთქიფანიძე ილარ. ტარ., 12, ცერცვაძე გ. ი., ხუსკივაძე თ., 15, აკოფაშვილი გ. სტ., 15, კიზირია პ. სტ., 16, ნიჟარაძე ი. ნ., 16 გიორგაძე ალ. მღვდელი., 18, ლორთქიფანიძე დიმ. დავ., 19, სანებლიძე იოს. თად., 20, ბაქრაძე კოსტ. დიმ., 21, დეკანოზიშვილი გ. გაბრ., 22, ტიტე სვ. ქიქოძე. კრება გათავდა ნაშუადღევის 3 საათზე.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. იყალთო** (თელავის მაზრა) იანვრის 23 დღესა ჩვენს სოფელში მოხდა ყრილობა სხვა და სხვა საზოგადოების მამასახლისების, სუდიების, ნაცვლების და სხვა მოხელეების ამოსარჩევად. იმის შემდეგ, როდესაც ხალხმა დაიფიცა, ჯვარსა და სახარებას ემთხვია, მაზრის უფროსმა თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა მოითხოვა მთელი საზოგადოების ყურადღება და ამ სიტყვებით მიმართა: „გამარჯვება ყველას!“

ხალხის ხმა: „მადლობთ, ღმერთმა თქვენი თავი დიდხანს გვიცოცხლოს!“

„ეს ოც-და-ათი წელიწადია თქვენ მამასახლისებს და სხვა მოხელეებს ირჩევთ. მე მგონია, ამ ხანის განმავლობაში გაიგებდით, მიხვდებოდით მათ მოვალეობას და დანიშნულებას. ამ ოცდა ათ წელიწადში ყველა საზოგადოება თითქმის ყოველ სამ წელიწადში სხვა და სხვებს ირჩევდით და, მაშასადამე, ეხლა უფრო კარგად გეცოდინებათ, ვის უფრო შეგნებული აქვს ეს მოვალეობა და დანიშნულება. საზოგადოდ ხომ ასეა, რომ სოფელში ვინც უფრო შეგნებული, პატიოსანი და გამჭრიახი კაცია, მოხელედ ის უნდა იყოს. წრეულს მომეტებულად გმართებთ ამ გვარის კაცის მოხელედ ამორჩევა, რადგანაც ხოლერას მოველითო“.

„შარშან თუმცა მშვიდობიანად გადარჩა ჩვენი მხარე, მაგრამ შარშან მხოლოდ თესლი იყო და წრეულს სამკალი იქნება. ამ სიტყვებით მე თქვენი შეშინება კი არ მინდა, არამედ თქვენი სიფხიზლე და ყველა იმის აღსრულება, რასაც ჩვენ საჭიროდ დავინახავთ და ჩავაგონებთ თქვენგან ამორჩეულ მოხელეებს ხოლერის შესახებ. არ ვიცი, თქვენ რას იტყვით, და კერძოდ მე დიდი მადლობელი ვარ და ჯილდოზედაც მყავს წარდგენილი ერთი მამასახლისი თავის მოვალეობის სინიდისიერად აღსრულებისათვის. ეს ლაპარაკი თქვენ შეგეხებათ, იყალთოსსაზოგადოებავ! თქვენმა მამასახლისმა ისე გამოიდო შარშან ხოლერობის დროს თავი, რომ სასურველია ყველა საზოგადოებას ჰყავდეს მაგისთანა პატრონი და მამა. მაგალითად: ხოლერით მკვდარს არავინ მიეკარა დასამარხად, თქვენმა მამასახლისმა თვითონ წაიღო, გაუჭრა საფლავი, ჩაუშვა შიგ თავის ხელით, კუბო სწორედ ვერ დადგა მიწაზე, ისევ ამოიღო, შეასწორა და ხელმეორედ ჩაუშვა კუბო საფლავში“.

„მე მგონია, ამ გვარ თავ-გამოდებას და სიყოჩაღეს ყველა მამასახლისი და მოხელე და თითქმის ყველა მკვდრის პატრონიც-კი ვერ გამოიჩენს. სასურველია და გირჩევთ კიდევაც, რომ თქვენ ისევ ძველი მამასახლისი ამოირჩიოთ, ან ისეთი, რომლის იმედიც უფრო გაქვთ. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ ხოლერობის დროს თქვენს სისუფთავეს და წყლებს, რომელსაც სვამთ. საცა-კი მდინარე წყალია და წყარო არ არის, კარგი იქნება, აადუღონ, გააცივონ და ისე სვან. ამას თქვენ ნურც გაიკვირვებთ და ნურც ტყუილი გეგონებათ. ეს უკვე დამტკიცებულია თქვენზე და ჩვენზე უფრო ჭკვიან და ნასწავლ ხალხისაგან, რომ დუღილში ის მავნე ჭია, თუ რაც არის, კვდება ჰქრება და, მაშასადამე, ავადმყოფობას ველარ გააჩენს. ბევრი თქვენგანი იტყვის: მე დალოცვილო, მკაში და გუთანზე სად ვატარო ნახევარ დღის სავალზე ადუღებული წყალიო! ეს მართალია, მაგრამ ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო“ თქვენ ეცადეთ: ვისაც შეგეძლებათ, ხომ აასრულეთ, ვისაც არა და, რა გაეწყობა. სხვათა შორის უნდა გამოგიცხადოთ ყველას: რომელ სოფელსაც წყარო არა გაქვსთ და გამოყვანა-კი შესაძლოა, ჩვენ გამოგვიცხადეთ, რადგანაც ჩვენ საუფლის წულო მამულის მოხელეებს ფული გამოვთხოვეთ რამდენიმე ასი მანეთი და მაგ საქმისათვისა გვაქვს გადადებული“.

ხალხმა მადლობა გამოაცხადა. ამის შემდეგ მოხელეები ამოარჩიეს და ხალხი დაიშალა.

დათიკო.

---

## სამტრედიის წიგნთ-საცავი

(წერილი რედაქციის მიმართ)

მეათე თთვეა, რაც დ. სამტრედიაში საჯარო წიგნთ-საცავი და წიგნის მაღაზია დაარსდა. თუმცა ამ საქმეს პირველიდგანვე ქუდ-ბედად დაჰყვა ბევრი ხელის დამცარველი მიზეზები, მაგრამ, როგორც არა ერთხელ გვქონდა მოხსენებული „ივერიაში“, ეს წიგნთ-საცავი, მისდა მიუხედავად, რომ კერძო თანხით არის დაარსებული და, მაშასადამე, ღარიბიც, თანდათან უახლოვდება თავის საწადელს. საჭიროდ მივაჩნია განვუზიაროთ მკითხველებს ის სასიამოვნო ამბავი, რომამ წიგნთ-საცავს ასამდე თთვიური მკითხველი ჰყავს, და ისიც უნდა შევნიშნოთ, თუ რა გატაცებით კითხულობენ ახალ წიგნებს. არაფერს ვიტყვით დ. სამტრედიის მოვაჭრეებზედ, რომლის უმეტესობას ერთი საათიც ველარ გადუნარჩუნებია წიგნების საკითხავად, მაგრამ გულ-ახდით და სიმართლით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ გარეშემო სოფლებში ძნელად მოიპოვება იმისთანა წერა-კითხვის მცოდნე კაცი და ქალი, რომელსაც თითქმის ყველა წიგნები არ წაეკითხოს, ქართველ ამხანაგობის მიერ დაბეჭდილი... ხშირად შეხვდებით ისეთსაც, რომ ზეპირად იცოდეს: „დედა და შვილი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“, „დიმიტრი თავ-დადებული“ და ბევრი სხვა... უნდა ვსთქვათ, რომ აკაკი წერეთლის ნაწერები ჯერ-ჯერობით წიგნთ-საცავში ძლიერ ცოტა გვაქვს, რადგანაც აკაკის ნაწერების უმეტესობა ჯერ გასასყიდათაც არ მოიპოვება, მაგრამ მკითხველები ილტაცებაში მოდიან, როცა გაზეთში ჰკითხულობენ, რომ აკაკის ნაწერები მალე დაიბეჭდებაო. დღე არ გავა, რომ ხუთმა მაინც არ იკითხოს აკაკის წიგნი. დარწმუნებული ვარ, რომ თუ გამომცემელმა ამხანაგობამ, ცოტაც არის, იაფად გამოსცა აკაკის თხზულებანი, პირველი გამოცემა ერთ წელიწადშივე გაიყიდება, რადგანაც ძნელად მოიპოვება ისეთი ქართველი, რომ აკაკის ნაწერები არ შეიძინოს. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმაზედ, თუ წიგნთ-საცავს რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. იმ ოჯახებში, სადაც უწინ არა თუ გაზეთი, არამედ „არსენას ლექსიც“ არ წაეკითხათ, ეხლა გატაცებით ეტანებიან ყველა ქართულ წიგნებს და გაზეთის შემწეობით ყველა გულდადებით ყურს უგდებენ საზოგადო ძარღვის ცემას. ერთის სიტყვით, ყველა ეს სასიამოვნო ნიშნები ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ თუ ქართველებმა უწინ გენიოსების ფასიც არ იცოდნენ, მოვა დრო—და ეს დრო არც ისე შორ არის—რომ უბრალო სიკვდილის შვილი, შუათანა ნიჭის მოლვაწეც-კი გვირგვინით შეამკოს. გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ უწინ ჩვენი ერი დიდს ძილში იყო, ეხლა მალე იღვიძებს...

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბიბლიოთეკის საქმეში საკმაო არ არის და ვერც ვიტყვით იმის პასუხს, თუ რა უნდა ვიკითხოთ, რომ წიგნები შეგვიყვარ-

დეს და განვვითარდეთ?!. აგრედვე არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ ძლიერ გვეძნელება გავაბათ ის სულიერი ძაფი, რომელიც აკავშირებს მკითხველს საკითხავთან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ უფრო მდაბიო, უფრო უბრალო პროგრამმით ვხელმძღვანელობთ და ეს პროგრამმა გახლავთ: გავრცელება ქართულის წიგნებისა და გაცნობა მკითხველებისა ჩვენს ლიტერატურასთან. დასასრულ, კიდევ გავიმეორებთ: რადგანაც ჩვენ არა გვაქვს პედაგოგიური გამოცდილება, იმისათვის არა ერთხელ მიგვიმართავს ნაცნობთათვის, რომ გაგვაგებინონ თავისი აზრი ამ საგანზედ. ჩვენ დიდის მადლობით მივიღებთ, თუ ვინმე საქმის გულ-შემატკივარი არ დაიზარებს და თავის აზრს მოგვაწვდის ამ საქმეში, რომ უკეთესად შეგვეძლოს გამართლება ბიბლიოთეკის დანიშნულებისა.

პ. გელეიშვილი.

P. S. აგრედვე უგულითადეს მადლობას ვუძღვნით იმათ, რომელთაც არ დაიზარეს თავისი წვლილი და ამ ჩვენ მიერ დაარსებულ წიგნთ-საცავს შემოსწირეს წიგნები, რომელთ სიასაც აქვე წარმოვადგენთ: 1) ზაქ. ჭიჭინაძეს, რომელმაც შემოსწირა რამდენიმე ათი ცალი დიდი და პატარა ქართულ-რუსულ წიგნებისა; 2) ვასილ მასხულიას, რომელმაც შემოსწირა ოთხი წიგნი მშვენიერის ყდით: „Помѣщикъ XVIII стол. или Село Михайловское“; 3) ქ-ნს ან. კანდელაკის ასულს, რომელმაც შემოსწირა ოთხი წიგნი: ა) „Воспитаніе женщинъ П. Жанэ, ბ) Слово-толкователь 7,500 иностранныхъ словъ, გ) „Руководкъ физіологіи человѣка“ К. Людвига და დ) კატალოგი იაგანსონისა; 4) ნიკო კანდელაკმა შემოსწირა ექვსი წიგნი, ღირებული სამ მანეთად; 5) ნიკო მხეცურიანმა შემოსწირა: ა) თამარიანი, ს. გუგუნავასი, ბ) სამგვარი სიყვარული, აკაკისა, გ) ფილტვების ჭლექის გადამდებლობა და დ) Разстройство памяти и его діагностика; 6) თ. ს. კ. მიქელაძემ შემოსწირა ნომრები „Живописное Обозреніе“-სი და ექვსი წიგნი რომანი ალ. დიუმასი „გრაფინია შარნი“ მშვენიერის ყდებით; 7) ლანჩხუთის მასწავლებელმა ბ. დ. შათირაშვილმა შემოსწირა 7 წიგნი მშვენიერის ყდებით: ა) ფიზიკა, განოსი, ბ) პედაგოგიკის სახელმძღვანელო, დოკუჩაევისა და სხვები, სულ ღირებული 7 მანეთად.

პეტრე გელეიშვილი

1893 წ. იანვრის 13

დ. სამტრედია

## წერილი რედაქციის მიმართ

ტფილისის ქართული სახალხო ბიბლიოთეკა მადლობას უცხადებს ყველას ვინც წიგნები შემოსწირა ამ ბიბლიოთეკას. შემომწირველთა სია.

ივ. მაჩაბელიანმა—90 წიგნი, გ. ქართველიშვილმა—ვეფხის-ტყაოსანი, ი. რომაძემ—7 წიგნი, ეფ. კლდიაშვილის ქალმა—8 წიგნი, ეკ. ასათიანისამ—4 წიგნი, დ. კარიჭაშვილმა—1 წიგნი, მოსწავლეებმა—4 მანათი, ილ. მათიკაშვილმა—1 მან., ლაკ. მათიკაშვილმა—1 მან., №№—1 მან., ნიკ. ალხაზიშვილმა—5 წიგნი, ნ. ლობჟანიძემ—4 წიგნი, მღვ. დეკანოზიშვილმა—14 წიგნი, დ. დელიაკემ—2 წიგნი.

გამგე ბიბლიოთეკისა ა. თუმანოვი-წერეთლისა

# დეპეშა

1 თებერვალი

**პეტერბურგი.** გუშინ ჩერნოგორიის მთავრის მემკვიდრემ წირვა მოისმინა ანიჩკოვის სასახლის ეკკლესიაში და მერე მიწვეულ იქმნა მათ უდიდებულესობათაგან საუზმედ.

სახელმწიფო ბანკი, რათა გაუადვილდეს რუსეთს ვაჭართა ფულის მიღება და გადახდა საზღვარ-გარედ, დაიწყო ყიდვა და გაყიდვა იმ ვექსილებისა, რომლებიც ერთის შორეულ ადგილს იგზავნებიან ფულის მისაღებად; ამისთანა ვექსილებით თვით ბანკიც იძლევა ფულს.

2 თებერვალი

**კობურგი.** პრინცმა ფერდინანდ კობურგელმა მიჰმართა თხოვნით ჰერცოგ კობურგელს, როგორც გვარეულობის უხუცესს, ნება დამრთე პარმისჰერცოგის ბურბონების გვარის ასული მარიამ ლუიზა შევირთო ცოლადო.

**ლონდონი.** დღეს გლადსტონმა საზოგადოებათა პალატას წარუდგინა თავისი „ბილლი“ ირლანდიის „ავტონომიის“ შესახებ. გლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც ორს საათს გასტანა და რომელსაც დიდის ალტაცებით მიეგებნენ მომხრენი. პალატა ავსებით-სავსე იყო მაყურებელ საზოგადოებით. გლადსტონმა თავდაპირველად განაცხადა, რომ ეს „ბილლი“ მხოლოდ ირლანდიის საქმეთა დაწყობა-გარიგებას შეეხებაო; პარლამენტი (ირლანდიისა) ორი პალატა იქმნება: ზემო პალატა, რომელშიაც 48-წევრი უნდა იყოს, და ქვემო პალატა—103 წევრი; ზემო პალატის წევრნი ამორჩეულ უნდა იქმნენ 8 წლით, ხოლო ქვემო პალატისანი—5 წლით. ვიცე-კოროლი, რომელიც არც ერთს საპოლიტიკო დასს არ უნდა ეკუთვნოდეს 6 წლით უნდა იქმნეს არჩეული. შემდეგ „ბილლს“ საჭიროდ—მიაჩნია დაარსებულ იქმნას ირლანდიაში საიდუმლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი; ეს კომიტეტი ნამდვილად ვიცე-კოროლის კაბინეტი უნდა იყოს; ვესტმინტერიის პარლამენტში ირლანდიის დეპუტატები 81-ი უნდა იყოს მიღებული; ამ დეპუტატებს ხმა არ ექმნებათ ისეთ კანონ-პროექტების გარდაწყვეტაში, რომელნიც მხოლოდ დიდ-ბრიტანიის საქმეებს შეეხბა. ახლანდელი პოლიცია ირლანდიისა თანდათან უნდა გაუქმდეს და საპოლიციო საქმეთა გამგეობა თვით ირლანდიელებს მიენიჭოს. იმ ხარჯიდგან, რაც მთელ დიდ-ბრიტანიის იმპერიისათვის იქმნება საჭირო, ირლანდიას იმდენი უნდა შეხვდეს, რამდენსაც მოითხოვს სამართლიანობა. სიტყვის გათავების დროს გლადსტონმა სთქვა: ეს „ბილლი“ დიდებას, ძლიერებასა და ერთობას იმპერიისას უფრო განამტკიცებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7^3/_4$ | $7,_{79}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $155^1/_4$ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | $1,_{08}$ | $1,_{10}$ | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $242^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $228^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 196 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . . | $102^3/_4$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $102^3/_4$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი

23 მარტს 1892 წელს განჯაში საჯაროდ გაიყიდება მამული აბას აბდულ-ოღლასა. მამული შეიცავს ერთ-სართულიან ქვითკირის სახლს ეზოთი და დაფასებულია 200 მანათად.

— 4 მაისს დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა სოფიო არტემას ასულის ხოჯაევის მამულისა, რომელიც შეიცავს სამ-სართულიან სახლს, 50,8 ოთხ-კუთხ საჟენიან ეზოთი. მამული იმყოფება ტფილისის მეორე განყოფილებაში სიმონსონოვის ქუჩაზედ. დაფასებულია 15,000 მანათად.

— 3 მარტს განჯაში ვაჭრობით გაიყიდება აბას-აბდულ-ოღლის ვენახი, რომელშიაც 3,500 ძირი ვაზია და ათიოდე ხეხილი. დაფასებულია 300 მანათად.

— განჯის ოლქის სასამართოში 19 მაისს ვაჭრობით გაისყიდება მამული დავით ხან-აღალაროვ-ჯევანშირისა. მამული იმყოფება სხვა-და-სხვა ადგილას და შეიცავს 6483 დესეტინას. დაფასებულია 20,000 მანათად.


# განცხადებანი

აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში $7^1/_2$ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში—ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—4)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—38)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1893 годъ.**

*(Сорокъ восьмой годъ изданія).*

# „КАВКАЗЪ“

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮГИНЪ.

**Подписная цѣна:**

| | Городская | Иногородная | Заграничная |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 11 р. 50 к. | 13 руб. | 18 р. 40 к. |
| ,, 11 ,, | 11 ,, — ,, | 12 ,, | — ,, |
| ,, 10 ,, | 10 ,, — ,, | 11 ,, | — ,, |
| ,, 9 ,, | 9 ,, — ,, | 10 ,, | — ,, |
| ,, 8 ,, | 8 ,, — ,, | 9 ,, | — ,, |
| ,, 7 ,, | 7 ,, — ,, | 8 ,, | — ,, |
| ,, 6 ,, | 6 ,, — ,, | 7 ,, | 10 ,, |
| ,, 5 ,, | 5 ,, — ,, | 6 ,, | — ,, |
| ,, 4 мѣсяца | 4 ,, 50 ,, | 5 ,, | — ,, |
| ,, 3 ,, | 3 ,, 50 ,, | 4 ,, | 6 ,, |
| ,, 2 ,, | 2 ,, 50 ,, | 3 ,, | — ,, |
| ,, 1 мѣсяцъ | 1 ,, 50 ,, | 1 ,, 75 к. | 2 ,, |

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ расрочкою вносятъ при подпискѣ 2 р. и по 1 р. къ первому числу каждаго последующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**Плата за объявленія** (со строки петита или занимаемаго мѣста): На послѣднихъ страницахъ: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 к., съ прочихъ—10 к., за каждый разъ. На первыхъ страницахъ вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“: Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

Въ непродолжительномъ времени выйдетъ и будетъ разосланъ прошлогоднимъ подписчикамъ полный систематическій указатель къ содержанію „Кавказа“ 1892 годъ.


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Февраля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.